Project funded by
EUROPEAN UNION

AGREEN
Community for climate-smart agriculture

Black Sea
CROSS BORDER COOPERATION

## პრესრელიზი

### ტრანსასაზღვრო ალიანში შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის (AGREEN)

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი ოპერაციული პროგრამის 2014-2020 დაფინანსებით ახორციელებს პროექტს - „ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის“. AGREEN-ის პროექტი ეფუძნება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფციას, რომლის მიზანია კლიმატის ცვლილების შემსუბუქება, ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღება და ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მომავალი თაობებისთვის.

პროექტი ხორციელდება დობრუჯას აგრარულ და ბიზნეს-სკოლასთან (ბულგარეთი), კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი), ტეკირდაგის ნამიკ ქემალის უნივერსიტეტთან (თურქეთი), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ (საქართველო), აგრობიზნესის კვლევისა და განათლების საერთაშორისო ცენტრთან (სომხეთი) და აღმოსავლეთ თესალონიკის ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების სააგენტოსთან (საბერძნეთი) თანამშრომლობით.

პროექტის ფარგლებში, 2023 წლის 31 იანვარს, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ ჩაატარა ტრენინგი „მეწარმეობის განვითარება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დარგში“. „ელკანას“ ტრენერებმა მონაწილეებს შემდეგი საკითხები გააცნეს:

- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია და მიდგომები;
- კლიმატისადმი მდგრადი აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვები;
- მეურნეობის მდგრადი მართვა;
- კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსება;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის პროდუქტის მარკეტინგი;
- საერთაშორისო ვაჭრობა და თანამშრომლობა.

ტრენინგს დაესწრო 36 მონაწილე.

პროექტი დაფინანსებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერაციული პროგრამით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის „შავი ზღვის აუზი 2014-2020“-ის ფარგლებში - პრიორიტეტი 1.2 „ტრანსსასაზღვრო შესაძლებლობების გაზრდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სექტორების მოდერნიზაციისთვის“. პროექტი გრძელდება 30 თვე - 01.06.2020-დან 30.11.2022-მდე /. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია: 799,279.60 ევრო / 3,014.930 ლარი.

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020 is co-financed by the European Union through the European Neighbourhood Instrument and by the participating countries: Armenia, Bulgaria, Georgia, Greece, Republic of Moldova, Romania, Turkey and Ukraine.

This publication was produced with the financial assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Biological Farming Association Elkana and do not necessarily reflect the views of the European Union.